




ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 136

2011 წლის 13 ოქტომბერი
ქალაქი ხაშური



„საქართველოს მთავრობის 2011 წლის 1 აპრილის #735 განკარგულებით გამოყოფილი სახსრებით განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 15 აპრილის #42 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლი მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. შევიდეს ცვლილება „საქართველოს მთავრობის 2011 წლის 1 აპრილის №735 განკარგულებით გამოყოფილი სახსრებით განსახორციელებელი ღონისძიებების გეგმის დამტკიცების შესახებ“ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 15 აპრილის #42 განკარგულებაში და განკარგულების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილი 1 700 000 ლარის ფარგლებში განსახორციელებელი ცალკეული ღონისძიებების მოცულობა და სამუშაოთა ნუსხა განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) „ქალაქ ხაშურში ქუჩების მოასფალტების სამუშაოების“ ღირებულება _ 838 090 ლარის ოდენობით, აღნიშნული სახსრების ფარგლებში განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

- _ ქალაქ ხაშურში გორკის ქუჩის მოასფალტების სამუშაოები;
- _ ქალაქ ხაშურში თავდადებულის ქუჩის მოასფალტების სამუშაოები;
- _ ქალაქ ხაშურში 26 მაისის ქუჩის მოასფალტების სამუშაოები;
- _ ქალაქ ხაშურში ჭანტურიას ქუჩის მოასფალტების სამუშაოები;
- _ ქალაქ ხაშურში თაყაიშვილის ქუჩის მოასფალტების სამუშაოები.

ბ) „ქალაქ ხაშურსა და დაბა სურამში საკანალიზაციო სისტემების მოწყობის“ ღირებულება _ 592 020 ლარის ოდენობით, აღნიშნული სახსრების ფარგლებში განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

- _ ქალაქ ხაშურში წიქარიშვილის ქუჩაზე საკანალიზაციო სისტემის მოწყობა;
- _ ქალაქ ხაშურში ჯორჯაძის ქუჩაზე საკანალიზაციო სისტემის მოწყობა;
- _ ქალაქ ხაშურში ახალშენის ქუჩაზე საკანალიზაციო სისტემის მოწყობა;
- _ ქალაქ ხაშურში 9 აპრილის ქუჩაზე საკანალიზაციო სისტემის მოწყობა;
- _ ქალაქ ხაშურში გაგარინის ქუჩაზე (I ჩიხი, II ჩიხი, განივი ჩიხი I ჩიხიდან დასავლეთით, III ჩიხი, IV ჩიხი, V ჩიხი, VI ჩიხი, VII ჩიხი, VIII ჩიხი, IX ჩიხი, X ჩიხი, გაგარინის ქუჩა

HH=3.0მ, გაგარინის ქუჩიდან ოქტომბრის ქუჩის პერპენდიკულარული ქუჩა) საკანალიზაციო სისტემის მოწყობა;

- _ ქალაქ ხაშურში ჭავჭავაძის ქუჩაზე საკანალიზაციო სისტემის მოწყობა;
- _ ქალაქ ხაშურში ოქტომბრის ქუჩისა და ოქტომბრის ქუჩიდან №210 ბინასთან მისასვლელი ჩიხის (83გ/მ) საკანალიზაციო სისტემის მოწყობა;
- _ ქალაქ ხაშურში ვაჩნაძის ქუჩაზე საკანალიზაციო სისტემის მოწყობა;
- _ ქალაქ ხაშურში ამირეჯიბის ქუჩაზე საკანალიზაციო სისტემის მოწყობა;
- _ ქალაქ ხაშურში მექანიკური ქარხნის დასახლებაში საკანალიზაციო სისტემის მოწყობა;
- _ ქალაქ ხაშურში კოსტავას ქუჩაზე საკანალიზაციო ქსელის მოწყობა;
- _ ქალაქ ხაშურში წმინდა ნინოს ქუჩაზე საკანალიზაციო ქსელის მოწყობა;
- _ ქალაქ ხაშურში ლესელიძე-აბაიძის ქუჩაზე საკანალიზაციო ქსელის მოწყობა;
- _ ქალაქ ხაშურში ჯავახიშვილის ქუჩაზე საკანალიზაციო სისტემის მოწყობა;
- _ ქალაქ ხაშურში ოქტომბრის ქუჩის გაგრძელების საკანალიზაციო სისტემის მოწყობა;
- _ ქალაქ ხაშურში ბორჯომის და ცხვირაშვილის ქუჩაზე არსებული დასახლების საკანალიზაციო სისტემის მოწყობა;
- _ ქალაქ ხაშურში ჯვართმუხის და დადიანის ქუჩებზე საკანალიზაციო სისტემის მოწყობა;
- _ ქალაქ ხაშურში გაგარინის I ჩიხის კუთხიდან დასავლეთის მხარეს საკანალიზაციო სისტემის მოწყობა;
- _ ქალაქ ხაშურში რუსთაველის ქუჩაზე #2 საჯარო სკოლის მოპირდაპირე მხარეს არსებულ ჩაკეტილ ჩიხში საკანალიზაციო სისტემის მოწყობა;
- _ დაბა სურამში გრიგოლ სურამელის ქუჩაზე საკანალიზაციო სისტემის მოწყობა;
- _ დაბა სურამში პუშკინის ქუჩაზე საკანალიზაციო სისტემის მოწყობა;
- _ დაბა სურამში რუსიას ქუჩაზე საკანალიზაციო სისტემის მოწყობა;
- _ დაბა სურამში კიკვიძის ქუჩაზე საკანალიზაციო სისტემის მოწყობა;

გ) „ქალაქ ხაშურში და დაბა სურამში გარე განათების სისტემების მოწყობის“ ღირებულება _ 100 990 ლარის ოდენობით, აღნიშნული სახსრების ფარგლებში განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

- _ ქალაქ ხაშურში სარაჯიშვილის ქუჩის, სარაჯიშვილის ქუჩის ბინების, ვაჟა ფშაველას ქუჩის, შალიბაშვილის ქუჩის, მიჩურინის ქუჩის, ლომთათიძის ქუჩის, სოხუმის ქუჩის, ვეფხვაძეების უბნის, #64 პროფტექნიკურის საერთო საცხოვრებლის მიმდებარე ტერიტორიის, გორგასალის ქუჩის ბინების, შ. არაგვისპირელის ქუჩის, გრ. რობაქიძის ქუჩის, ფურცელაძის ქუჩის, შიო მღვიმელის ქუჩის, გრ. რობაქიძის (ყოფ. 5 დეკემბრის) ქუჩის, ოქტომბრის ქუჩის გაგრძელების, ლესელიძის ქუჩის, მარკოზაშვილის ქუჩის, ივ.ჯავახიშვილის ქუჩის, ბორჯომის ჩიხის, ირ. ბარბაქაძის ქუჩის, აგარის ქუჩის, გაბაშვილის ქუჩის გაგრძელების, ხერხეულიძის (მღებრიშვილის) ქუჩის, ქაშვეთის ქუჩის, ინგოროყვას ქუჩის, ბარათაშვილის ქუჩის, ტაბიძის ქუჩის ჩიხის, ი. ჭავჭავაძის ჩიხის, წმ. ნინოს ქუჩის ბინების, შოლის ქუჩის, კიკნაძის (ყოფ. ჩკალოვის) ქუჩის, გრიშაშვილის ქუჩის, კ. გამსახურდიას ქუჩის გაგრძელების, სუმბათაშვილი იუჟინის ქუჩის, მოსკოვის ქუჩის, იმერეთის ქუჩის გაგრძელების, გაგარინის ქუჩის ჩიხების გარე განათების სისტემების მოწყობა;
- _ ქალაქ ხაშურში ჭანკოტაძის ქუჩის, ვაჟა ფშაველას ჩიხების, მელიქიშვილის ქუჩის გაგრძელების, მაჩაბელის ქუჩის, რ. ერისთავის ქუჩის, გოგოლის ქუჩის, გორგასლის ქუჩის (ჩიხი), წერეთლის ქუჩის, გ. ერისთავის ქუჩის, გამსახურდიას ქუჩის გაგრძელების, ომში დაღუპულთა მემორიალის, რუსთაველის ხიდის, ბორჯომის ქუჩის ბინების (№4, №14, №58);
- _ დაბა სურამში გოგოლის ქუჩის, მ. ხაჩიძის ქუჩის, წმ. მარიამის ქუჩის, წმ. მარიამის ქუჩის ჩიხის და დაბა სურამში შესასვლელი გზის გარე განათების სისტემების მოწყობა.

დ) „ქალაქ ხაშურში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების მოწყობის“ ღირებულება – 148 000 ლარის ოდენობით, აღნიშნული სახსრების ფარგლებში განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

- ქალაქ ხაშურში, თევდორე მღვდლის ქ. #27 ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის მოწყობა;
- ქალაქ ხაშურში, თევდორე მღვდლის ქ. #28 ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის მოწყობა;
- ქალაქ ხაშურში, თევდორე მღვდლის ქ. #24 ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის მოწყობა;
- ქალაქ ხაშურში, თამარ მეფის ქ. #12 ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის მოწყობა;
- ქალაქ ხაშურში, თამარ მეფის ქ. #13 ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის მოწყობა;
- ქალაქ ხაშურში, თამარ მეფის ქ. #14 ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის მოწყობა;
- ქალაქ ხაშურში, დ. თავდადებულის ქ. #54 ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის მოწყობა;
- ქალაქ ხაშურში, დ. თავდადებულის ქ. #2 ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის მოწყობა;
- ქალაქ ხაშურში, გაგარინის ქ. #74 ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის მოწყობა;
- ქალაქ ხაშურში, კოსტავას ქ. #30 (ყოფილი რკინიგზის) ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის მოწყობა;
- ქალაქ ხაშურში, კოსტავას ქ. #32 (ყოფილი რკინიგზის) ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის მოწყობა;
- ქალაქ ხაშურში, სარაჯიშვილის ქ. N93–ში ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის მოწყობა;
- ქალაქ ხაშურში, სარაჯიშვილის ქ. N95–ში ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის მოწყობა;
- ქალაქ ხაშურში, სარაჯიშვილის ქ. N101–ში ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის მოწყობა;

ე) „სოფელ სარმანიშვილისკარამდე მისასვლელი გზის მოხრეშვა–მოშანდაკების“ ღირებულება – 20 900 ლარის ოდენობით.

2. განკარგულება შესასრულებლად გადაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას .

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (მის: ქ. ხაშური, ტაბიძის ქ. #2), ხოლო შემდეგ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ხაშური, კოსტავას ქ. #15) ერთი თვის განმავლობაში.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
დავით ლომიძე

